სამშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 6 № 141

ყოველდღიური გაზეთი

სამშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 6 № 141

ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რედაქცია.**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**კანტორა.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

კვირას, აგვისტოს 4, დილის 10 ს., ქალაქის თვითმართველობაში დანიშნულია

## საერთო კრება

მცხოვრებთა საუბნო-სასანიტარო სამზრუნველოების წევრთა არჩევის შესახებ.

1—1

## განცხადება

შემდგარი ჯგუფი სტუდენტობისა, რომელნიც მიემგზავრებიან რუსეთის უნივერსიტეტში სთხოვს იმ პირთ, ვისაც სურვილი აქვს წასვლისა ჩაეწეროს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში დილის 9—12 საათ. და საღამოს 6—8 საათამდის.

3—1

ქ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო და გამგეობა ამით აცხადებს ამავე საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას 25 აგვისტოს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია

## არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

განსახილველი არის შემდეგი საკითხები:

1. საბჭოს და გამგეობის მოხსენება მოსამსახურეთა ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და შტატის შემოკლების შესახებ.
2. ამავე საზოგადოების დაზღვევისა შესახებ

3—3

## კბილის ექიმები

**მ. ი. ახვლედიანი** და **ო. დ. პროშლიაკოვა**

ლებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს. და საღამოს 5 ს.—7 .. მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ექიმი

## ზ. ა. ეზიკაშვილი

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). ს.

## შეცდომა უნდა გასწორდეს.

ახალ სახელმწიფოში რომ ახალ მთავრობას მართვა გამგეობის დროს შეცდომები მოუვიდეს ეს დიდათ საკვირველი არ არის, მაგრამ შეცდომაცაა და შეცდომაც, ზოგიერთი შეცდომა უმნიშვნელოა და მისი შედეგი საქმეს არსებითად არ შეაფერხებს, ხოლო ზოგიერთი კი ისეთია, რომ მისი მოვლენა საზოგადო ცხოვრებას შავს კვალს გაავლებს და ყველას სიმწარეს განაცდევინებს. აი, სწორეთ ასეთი შეცდომა იყო ჩვენი ახალი მთავრობისა **მიწის დეკრეტის** გამოცემა.

ჩვენ თავიდგანვე აღვნიშნეთ და გულწრფელად განვაცხადეთ, რომ ეს დეკრეტი სახიფათო ნაბიჯი იყო და მისი გადადგმა სარგებლობას კი არა ზარალსაც დიდს მოიტანდა. ჩვენ ცხადათ გამოვსთქვით ჩვენი აზრი, რომ მიწის საკითხი ნათლათ არც მთავრობას ქონდა გამორკვეული, არც ჩვენ ლიტერატურაში იყო მეცნიერულად გაშუქებული და მით უმეტეს არც ხალხს ესმოდა. ასეთი გარემოება ცხადათ უჩვენებდათ მთავრობას, რომ მას თავი შეეკავებია და მიწის საკითხი ასე **უცებ** და ასე **გადაჭრით** არ გადაეწყვიტა, როგორც ეს მან ჩაიდინა დეკრეტის გამოცემით.

სოციალისტებს, ნამეტურ ზოგიერთებს, ეგონათ, რომ მიწის დეკრეტი ხალხს გაახარებდა, დემოკრატიას მოის ყიდიდა, რადგან აქ სამართლიანობა და სარგებლობა ერთათ მოეჩვენებათო, მაგრამ ასე არ მოხდა; არ მოხდა მიტომ, რომ დეკრეტი გარკვეული არ იყო, დეკრეტი ხალხის შეგნებას **არ** შეესაბამებოდა და არც სინამდვილეს ემყარებოდა. დეკრეტი იმედზე იყო დამყარებული და სურვილით იყო გამოწვეული; **იმედი** და **სურვილი** კი ხშირათ არ არის თავდები იმისი, რომ კანონი ცხოვრებაში გაივლის და იმას ხალხის კეთილ დღეობა შედეგათ მოჰყვება.

მიწის **დეკრეტის** უადგილობა და ცხოვრების პირობებთან შეუფერებლობა სინამდვილემ ამ მოკლე დროში დაგვიმტკიცა და **აი რატომ.**

დეკრეტი აკანონებს, რომ **თვითეულ** მემამულეს, იშვიათი მეურნის გამოკლებით, 7 დესიატინა მიწა დარჩეს და სხვა ჩამოერთვასო აქ სრულიად გამოურკვეველია აქვს თუ არა მნიშვნელობა ოჯახში სულთა რაოდენობას, ან ამა თუ იმ კუთხის ნიადაგის ნოყიერებას, **ან** პატრონისგან მამულის მოვლა-გაკეთებას? მართლაც თუ ოჯახი დიდია-7 დეს. ცოტაა, თუ პატარაა 7—ბევრია, თუ ნიადაგი ნოყიერია ეგებ 7—მეტიც იყოს, თუ უნაყოფოა 7 ძლიერ ცოტაა, თუ კარგათ უვლის რატომ უნდა ჩამოვართვათ და თუ არ უვლის და აცდენს ან 7 დეს. რატომ უტოვებთ, თუ საქმე ჩამორთმევაზე მიდგა. ამგვარათ ნორმა 7 დეს. **დაუსაბუთებელია** და ჯერ ჰაერში ჰკიდია. კანონებში ასეთი გაურკვევლობა შეუწყნარებელია. დეკრეტში ბევრი რამ გაურკვეველია და ამიტომაც არსებითი მხარე დეკრეტისა სუსტია. ვინ არ იცის რომ ჩვენში ისეთი მდებარეობაა, რომ ის, რაც რაჭაზედ ითქმის, გურია-სამეგრელოზე არ ითქმის. ავიღოთ სხვა მხარე.

ჩამორთმეული მიწები დეკრეტის აზრით სახელმწიფოს გადაეცემა და ის კი გლეხებს გადასცემსო, მაგრამ მეტათ ბუნდოვანი აღმოჩნდა თვით რიგი გადაცემისა.

ხალხმა სამართლიანათ იკითხა: უსასყიდლოთ მოგვეცემა მიწა თუ სასყიდლითო? როცა უთხრეს სასყიდლითო, მათ უპასუხეს სასყიდლით ჩვენც ვღებულობდით პატრონისგან და ვინ არი მისი თავდები, რომ თქვენგან უკეთეს პირობებში მივიღებთო? როცა უთხრეს უსასყიდლოთო, მათ უპასუხეს რაც უსასყიდლოთ მოგვეცემა ის, ხომ საკუთრება იქნებაო? ამ კითხვაზე დეკრეტის ცხოვრებაში გამტარებელი იბნევა და ვერც საკუთრებათ პირდება და ვერც იმას ეუბნება ცხადათ, რომ დროებით მოგეცემა და შემდეგ ისევ წაგერთმევაო. ვერც წვრილ მემამულეს გაუგია, მას რათ წაართვეს და ვერც გლეხს გაუგია მასს სანათხოვროთ (ამ სიტყვას ხმარობენ შეკითხვის დროს თვით გლეხები) აძლევენ თუ საკუთრებათ. ამიტომ მემამულეც გაცარცულათ სთვლის თავის თავს და გლეხსაც მოტყუებულათ მიაჩნია თავის თავი. მაშ ვინღა მოიმადლიერა ამ დეკრეტმა? თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზოგიერთ კუთხეში გლეხს მეტი მიწა აღმოუჩნდა ვინმე თავადაზნაურს დავრწმუნდებით, რომ დეკრეტი გლეხების სასიამოვნოც აღარ აღმოჩნდა. პირიქით ამ დეკრეტის განმარტებამ სოფელში სულიერი განწყობილება არია, არა თუ თავად აზნაურსა და გლეხებს შორის თვით გლეხებშიც უსიამოვნება გამოიწვია და ერთგვარი შური და მტრობა დაბადა, რაც მოკლე დროში თავის ნაყოფს უფრო ცხადათ დაგვანახვებს.

თეორეტიულათ სუსტი დეკრეტი პრაქტიკულათ უფრო უხერხულიც გამოდგა. ავიღოთ შემდეგი გარემოება.

დეკრეტი გამოვიდა ამა წლის გაზაფხულზე, დეკრეტი აცხადებდა **მიწების** ჩამორთმევას. სინამდვილით კი აი **რა** მოხდა. კომისიებმა სოფლებში წრეუნდელი მოსავალი დააკავეს.

დეკრეტი წრეუნდელ **მოსავალს** არ ეხებოდა, დეკრეტის აღმასრულებელნი კი, სწორეთ **მოსავლის** ჩამორთმევით იწყებენ ამ „სასახელო“ საქმეს.

აქ ისეთი უსამართლობა არის, რომლის მტკიცებაც საშუხაროა. ყანები შარშან შემოდგომაზე დათესილია, ამ მოსავლის პატრონი, რომელთა ოჯახში **ათასი** ავათმყოფი, ქვრივი, ობოლი, მოსწავლე იმყოფება, იმედით შესჩერებოდა, დღეს კი, როცა პური იმკება, ეუბნებიან, **მიწა** კი არა **მოსავალიც** უნდა ჩამოგართვათო და კიდეც ჩამოართვეს, თუ აწი არ დაუბრუნებენ. ასე რომ დეკრეტი **მიწას** ართმევს და კომისია წრეუნდელ **მოსავალსაც** ზედ ამატებს. შარშან დათესილ ყანებს წრეუნდელი გამოსული კანონით (თუმცა ჯერ ეს კანონი არც რის) ანაწილებენ. კაცს პირში ლუკმას აცლი და წინდაწინაც არ გინდა გააფრთხილო? უგნური მემამულეც კი ისე იქცეოდა, რომ თუ მიწას მუშას ჩამოართმევდა, ამას მოსავლის მოწევამდი ეტყოდა და მოსავლის შემდეგ ჩამოართმევდა. ძველი რუსეთის სასამართლოშიც არ დამდგარა ის განჩინება, რომ ყანა გაზაფხულზე კაცისთვის წაერთმიოსთ, თუნდ ის დანაშაულიც ყოფილიყო. ასე უკანა რიცხვით კაცის დასჯა შეიძლება? და ესეც რისთვის, იმისთვის რომ ერთი ჯგუფის ანუ **პარტიული** მთავრობის გეგმა, უსათუოდ ასრულდესო?!

აი, სწორეთ ეს არის მგლისა და კრავის არაკი. ჩვენ ჯერ კიდევ დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობა არ მოიწონებს კომისიების მოქმედებას და მათ გადაჭარბებულ ერთგულებას, რომელიც დათვურ სამსახურს მოგვაგონებს, არ მიიღებს, თორემ თუ კომისიების მოქმედება მთავრობამ დაადასტურა და **წრევანდელი** მოსავალი ყანის პატრონებს ჩამოართვა, მაშინ კი სამართალი სწორეთ შავი ზოლებით უნდა შემოვხაზოთ და მკვდრათ გამოვაცხადოთ ამ ჩვენ საცოდავ ქვეყანაში.

ჯერ მთავრობას მხოლოდ თვით დეკრეტის გამოცემას და მის გამოურკვევლობას ვუსაყვედურებთ და თუ სოფელში მომქმედი კომისიების უაზრო განმარტებაც დაადასტურა, მერე იძულებული ვიქნებით სხვა ენაზე დავილაპარაკოთ.

მიწის დეკრეტი დიდ მითქმა მოთქმას იწვევს, ამის გამო გამწვავდა ურთიერთ შორის დამოკიდებულება, ამან გაუტეხა სახელი მთავრობას, ამან შეაფიქრა ჩვენი გარეშე მეზობლები და მოკავშირეები, ამან დაატრიალა სოფლის ანარქია და მისცა ნიადაგი ბოლშევიზმს და ეს შეც-

# დ ღ ე ს.

**წერილები.**

ტრიფონ ჯაფარიძე—შეცდომა უნდა გასწორდეს.

ფელეტონი—ჩვენი საერობო პოლიტიკა.

— —

ნიკ. ახვლედიანი—ჩვენი წვრილი მრეწველები და ჭიათურის მადნის. ნაციონალიზაცია.

კ. ლომთაძე—დასელები და გლეხობა.

**ცნობები.**

— —

ბაქო ოსმალთა ჯარმა აიღო. ნავთის ქარხნები ხელუხლებელია. მთავრობა ღვინით ვაჭრობის შესახებ. ბონების ექსპედიციის გაძარცვის განზრახვა. ავსტრო-გერმანელების წარმომადგენლები ერევანში. ყუბანის მთავრობის დელეგაცია ტუაპსეში. ბრძოლა ლეჩხუმში და სხვა.

---

დომა უნდა გასწორდეს; უნდა გასწორდეს ისე, რომ სახელმწიფო ამის გამო განსაცდელში არ ჩავარდეს. ამას გაასწორებს დამფუძნებელი კრება და მანამდი კი შეჩერებაა აუცილებელი.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

# პ რ ე ს ა

ჩვენმა სამართლიანმა მხილებამ „სოციალ დემოკრატსაც“ ხმა ამოაღებინა და „მეგობრელთა“ „პუბლიცისტებივით“ თვალთ მაქცურ ხრიკებს მიმართა. დემოკრატიას, რომლის ინტერესსაც ვითომც იცავენ სოციალ დემოკრატები, სხვანაირათ ვერ მოექცევა ეს ვაჟბატონები თუ არა თვალთ მაქცობით და მოტყუილებით.

ჩვენ ვიცით თვით სოციალ დემოკრატების მამამთავართა სიტყვები, სადაც ამბობენ: — „დემოკრატია, ეს მტერია პროლეტარიატისო“ და თუ ეს ასეა, რა საერთო აქვთ ჩვენებურ სოციალისტებს, ქართველ დემოკრატიასთან, ან იქნება მათ ჰგონიათ, რომ საქართველოში პროლეტარები მოიპოებიან.

არა. მათ კარგად მოეხსენებათ, რომ ჩვენში პროლეტართა ნასახიც არ მოიძებნება, მაგრამ თვალთ მაქცობენ და დემოკრატიას „რომელიც მტერია პროლეტარიატის“,-თვალს უბრმავებენ.

გაზ. „სოც. დემოკრატი ეხება ერობის არჩევნებს, ფედერალისტთა და ს. დემოკრატთა ბლოკს და სწერს.

„საქმიანობის პრინციპზე მოხდა შეთანხმება და ამ შეთანხმებაში მონაწილეობა მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ ფედერალისტებმა. რატომ არ მივაღებიეთ მონაწილეობა ნაციონალ-დემოკრატებს? ჩვენ, საქმიანობის პრინციპი გვავალებს შეუთანხმდეთ მათ, ვინც სცნობს და იცავს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას და მის მთავრობას. ჩვენ, რომელნიც ვიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას; რომელნიც ვიცავთ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, ურომლისოთ საქართველო ვერ ისაქართველოებს, ვერ შეუთანხმდებოდით ერობის, ამ დიადი ორგანიზაციის არჩევნებში, მათ, ვინც საქართველოს და მის მთავრობას ებრძვის“.

თვით გულწრფელი სოციალ დემოკრატიც კი ვერ იტყვის, რომ ეს თვალთ მაქცობა არ იყოს.

ჩვენ ერობისათვის არ გვინდოდა მივვეცა პარტიული ხასიათი, რაც საქმიანობას მარხავს და ასამარებს. ერობა, პარტიის გარეშე მყოფი დაწესებულება უნდა იყოს თუ გვინდა, რომ მან ხალხს სარგებლობა მოუტანოს. მაგრამ ამას უარყოფენ სოციალისტები და უარყოფენ ყოველგვარ საქმიანობას.

დავანებოთ ამას თავი. „ს. დემოკრატი“ ამბობს, „ჩვენ არ შეუთანხმდით ერ. დემოკრატებს რადგანაც საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძვიანო“.

აი, როგორ უხვევენ თვალებს საბრალო მკითხველებს. როდის იყო რომ ჩვენ სოციალ დემოკრატებს შეთანხმებას ვსთხოვდით!.. როდის იყო რომ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობას ვებრძოდით?!.

ეს ვაჟბატონები არ იყვნენ, დამოუკიდებლობის პრინციპს ბატონყმობათ რომ ნათლავდენ? სოციალ დემოკრატები არ იყვნენ კონტრევოლუციონერებს რომ გვიწოდებდენ, იმ ღვაწლისათვის, რომ როგორმე მათთვისაც შეგვეგნებია დამოუკიდებლობის აუცილებლობა?

შემდეგ გაზეთი სწერს: —

„ჩვენ ხელს ვერ გაუწოდებთ იმ ხალხს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას კბილების ღრჭენით თავს ესხმის და მოღალატური გამოსვლებით მას ძირს უთხრის“ და სხვა...

ჩვენ კი ვერ გამოუცხადებთ თანაგრძნობას ისეთი ხალხის გამოწვდილ ხელს, რომელნიც საქმეს აკეთებენ არა ხალხის სასარგებლოდ, არამედ პირადი ინტერესებისათვის, ჩვენ ვერ შევურიგდებით ისეთ ჯგუფს, რომელნიც თავისი ბეცი პოლიტიკით ძირს უთხრის თავისუფლებას და ჰქმნის ჟანდარმერიას. ჩვენ ვერ თანავუგრძნობთ ისეთ ხალხს, რომელნიც ქონებას სხვას სტაცებს და თვითონ ფსაკუთრებს. ასეთი პირები მტერია ხალხისა და ხალხის მტრებთან ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს.

ეჭვიც არ იყოს, ჩვენ კარგად ვიცით რომ სოც. დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობას კი არ იცავენ, არამედ მინისტრების სავარძლებს, რომელზედაც მათი ამხანაგები სხედან. ისინი ვერც დაიცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას, რადგანაც ამ დამოუკიდებლობის პრინციპს მუდამ ებრძოდენ და ეხლაც ცალი თვალი რუსეთისაკენ აქვთ, რომ როგორმე დამოუკიდებელი საქართველო რუსეთის პროვინციათ აქციონ.

ეს კარგად ვიცით ჩვენ, კარგად იცის ქართველმა საზოგადოებამაც და ასეთი ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებად გვსახავენ!..

საბრალო „პუბლიცისტებო“! ეს პროვაკაცია არის და იცოდეთ, რომ ასეთი პროვაკაციისათვის მომავალი თაობა წყევლა კრულვით მოგიხსენიებთ.

მხოლოდ ერთს გთხოვდით: — შეიბრალეთ გულ უბრყვილო მკითხველები, ნუ აწვდით გესლს და ნუ გინდათ, რომ ისინიც თქვენსავით მოიშხამონ. საქართველოს გულის ფიცრის დასასერავათ თქვენც კმარიხართ.

---

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

## მთავრობის მოქმედება.

მთავრობამ დაადგინა: —

იუსტიციის მინისტრის განკარგულება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მოხდენილი, რათა სასამართლოების განჩენი ცხადდებოდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით, დადასტურებულ იქმნას.

— დაევალოს იუსტიციის მინისტრს: საჩქაროდ წარმოადგინოს თავისი პროექტები საგანგებო სასამართლოების შესახებ.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის კანცელარიის დირექტორის თხოვნა ნიკოლოზ კელარევისა, ერთდროულ დახმარების შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნას ათ მილიონიან ფონდიდან.

---

## ჩვენი საეროზო პოლიტიკა

1

**სახალხო განათლება.**

(შემდეგი იხ. „ჩვ. ქვეყ.“ № 139).

სახალხო განათლების გარდა, ჩვენ საერობო პოლიტიკაში საპატიო ადგილი ეჭირება ხალხის მეურნეობას.

აქ უმთავრესად ორი საგანი უნდა ვიქონიოთ სახეში: ერთი შრომის ნაყოფის გადიდება და მეორე—ნაშრომის რიგიან ფასში გაყიდვა.

აქ ჩვენ მოქმედებისათვის ფართო სარბიელი გვეხსნება. ეს ეკონომიური შემოქმედების სარბიელია; ამას უნდა შევალიოთ მთელი ჩვენი ძალ ღონე: ეკონომიური ფაქტორი უმთავრესი აქტია ერის ცხოვრებიში.

ამ სარბიელზე ჩვენმა მოქმედებამ ჩვენი დაჩაგრული ხალხი შევიწროვებულ მდგომარეობიდან უნდა გამოიყვანოს და მას საშვალება მისცეს რომ კარგ ეკონომიურ პირობებში იარსებოს. როდესაც სოფელს შევუქმნით კარგ ტეხნიკურ პირობებს, ქალაქის მდგომარეობაც გაუმჯობესდება, რადგანაც ქალაქსა და სოფელს შორის დიდი კავშირია.

სოფლელთა შრომა, რომ უფრო ნაყოფიერი შეიქნეს, სოფელმა უნდა შეისწავლოს, როგორ უნდა მოექცეს იგი ისეთ სიმდიდრეს, როგორიცაა მიწა. ჩვენმა სოფლელმა არ იცის, როგორ უნდა დამუშავება მიწას.

იგი მუშაობს ისე, როგორც მუშაობდენ ჩვენი წინაპრები 300—400 წ. წინეთ ცხოვრებამ ძალიან წაიწია წინ, თუ ძველად თითქმის ყველაფერს, რაც დაჭირდებოდა, თვითონ ვამზადებდით; სხვა ქვეყნებში მაინც და მაინც ბევრს არაფერს ვაგზავნიდით და არც იქიდან შემოგვქონდა ბევრი რამ. ეხლა ჩვენც დიდ ძალი საქონელი შემოგვაქვს უცხო ქვეყნებიდან და გაგვაქვს ჩვენი ქვეყნიდანაც.

დღევანდელ დროში ქონებრივად დაღუპვის გზაზე სდგას ის ქვეყანა, რომელსაც მრეწველობა და ვაჭრობა არ აქვს განვითარებული, რომელსაც ქარხნები არ უტრიალებს ბლომად.

რა უნდა გაზიდოს ასეთმა ქვეყანამ საზღვარ გარედ? ხორბალი, ხე ტყე და მადანი, თუ მას ესენი მოეპოვება.

მხოლოდ სხვა ქვეყნებიდან უნდა შემოიტანოს სხვადასხვა ქარხნებში დამზადებული საქონელი: ქსოვილები, რკინეულობა, საათფიაქო საქონელი, ჭურჭლეულება და სხვა. ეს ქარხნებით დამზადებული საქონელი ძვირად ფასობს. გაუნათლებელი ქვეყნიდან გასაზიდი ნედლი მასალა კი იაფია. ის ქვეყანა სადაც მრეწველობა არ არის განვითარებული იძულებულია უცხოელების მიერ დანიშნულ ფასებზე დასთანხმდეს თავისი იაფად გაჰყიდოს სხვისი ძვირად იყიდოს; იგი უეჭველად დაიჩაგრება დასუსტდება ქონებრივად, თუ თავის საკუთარი მრეწველობა არ გააჩაღა, საზღვარ გარეთ გასაზიდავი მასალა არ დაიმუშავა.

უპირველესად ყოვლისა აქ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიული უპირატესობით: რელიეფით კლიმატით და ნიადაგით.

მეცნიერების გამოკვლევით, ჩვენი სამშობლო წარმოადგენს სუბტოპიკული მცენარეების ქვეყანას.

ერთ დესიატინა მიწას, მეცნიერების რაციონალურად შემუშავებულს, შეუძლია კარგად შეინახოს რამდენიმე ათეული სული. ამას ცოდნა უნდა.

ყოველ რაიონში ჩვენ უნდა გვყავდეს თითო აგრონომი უმაღლესი განათლებით; იგი უნდა გაუძღვეს ამ უბნის მეურნეობას. მას უნდა ჰყავდეს საკმაო რიცხვი ინსტრუქტორებისა რომელნიც დაეხმარებიან მას გონივრული მიწად მოქმედების განხორციელებაში თითო სოფელში უნდა იქნეს თითო ინსტრუქტორი, ყოველი რაიონის ცენტრში.

საშვალო ალაგას უნდა მოეწყოს საცადი მინდრები და პლანტაციები. აქ უნდა სცადონ სხვადასხვა მცენარეების გაშენება; აქ უნდა ისწავლოს სოფლელმა კულტურული გონიერი მუშაობა მიწისა. აქედან სოფლელები მიიღებენ ნერგებს და თესლს მათთვის უცხო მცენარეებისას.

ამას გარდა, ყოველ ინსტრუქტორს, ყოველ სოფელში ექნება თავის საცადი მინდორი ინსტრუქტორი თავის რჩევით და მაგალითით ასწავლის ხალხს, როგორ უნდა გაადიდოს მან თავის მოსავალი. ვთქვათ, განუწყვეტელი წვიმებია; ნათესები ილუპება; სოფელმა, არ იცის რა ჰქნას.

ინსტრუქტორმა კარგად იცის, როგორ ებრძოლოს სინესტეს, და იგი ამ შემთხვევაში მოსავალს გადაარჩენს და სოფლის ამ ნაირად უშველის. ბევრ სხვა შემთხვევაშიც მისცემს იგი სოფელს სასარგებლო რჩევას. მაგალითად, სოფლელს უნდა გააშენოს ვენახი; მან არ იცის ივარგებს თუ არა მის მიწაზე; აქ ინსტრუქტორი დაეხმარება მას. ვთქვათ, ხეები უგემურ და წყლიან ხილს ისხმენ პატრონმა არ იცის მიზეზი და არც ის იცის, როგორ უშველოს საქმეს. აქაც ინსტრუქტორი მოეხმარება მას.

დრო გამოშვებით, განსაკუთრებით თესვის დროს და შემოდგომაზე საერობო აგრონომმა უნდა ჩამოიაროს თავს უბანი დაათვალიეროს. მინდვრები და შესაფერი რჩევა და დარიგება; მისცეს მცხოვრებლებს ვთქვათ რომელიმე მცხოვრების ბამბას ცუდი პირი უჩანს. აგრონომმა უნდა ურჩიოს, როგორ მოიქცეს პატრონი; რა პატივი მისცეს მიწას და სხვა.

ჩვენმა ინსტრუქტორებმა უნდა ასწავლონ ხალხს, როგორ ამზადებენ სხვადასხვა მწვანილისაგან და ხილისაგან კონსერვებს, რომელთაც რასაკვირელია დიდი ფასი აქვსთ.

ინსტრუქტორებმა უნდა ასწავლონ ხალხს, მაგალითად, როგორ უნდა გაშენდეს საუკეთესო ჯიშის თუთა, როგორ უნდა მოუარო მას, რომ კარგ ფოთოლს იძლეოდეს აბრეშუმის ჭია ხდება ავად და იღუპება, იღუპება შრომა მათი პატრონისა; აქ უძევს ვალი ინსტრუქტორს, რომ, ამ გვარი უბედურება ააცილოს თავიდან მცხოვრებლებს ჩვენი ხალხი მიწას არ ასუქებს ან და თუ ასუქებს ცუდათ. ის ხმარობს ამისათვის მხოლოდ კელას. კელის განივრულად გამოყენება არ იცის დი კიდეც რომ იცოდეს საქონელი ცოტა ჰყავს და კელათ, რასაკვირველია, მის მიწას არ ეყოფა. კელას გარდა, სხვა სასუქი მიწისა ჩვენი ხალხისათვის უცნობია. ცნობილია დასავლეთ ევროპაში ეგრეთ წოდებული ხელოვნური სასუქი მიწისა: ეს გახლავთ ქიმიური საშუალებით დამზადებული სასუქი. იაფად ჯდება და მიწას ძლიერ კარგად ანოყიერებს. ამ ქიმიური მიწის სასუქის გაკეთება და ჩვენ ქვეყანაში გავრცელება უნდა დაევალოს ჩვენ აგრონომებს ამისათვის უნდა მოეწყოს საგანგებო საწყობები ქიმიური მიწის სასუქისა საიდანაც მცხოვრებლები ამ სასუქს მიიღებენ. აგრეთვე უნდა მოეწყოს სამიწად მოქმედო იარაღების და მაშინების საწყობები. ბევრი ჩვენი სამეურნეო იარაღები ძველი დროითაა უხეირო. ევროპიელებს გაკილებით უკეთესი იარაღები აქვსთ და ამიტომ ნაკლები შრომით მეტ საქმეს აკეთებენ. სულ მცირე მაგალითად ვენახის სასხლავი მაგრატელი ავიღოთ. რამდენით ჯობია იგი ჩვენ ძველებურ სასხლავს? რამდენაა კიდევ ჩვენთვის უცნობი მაგრამ ფრიად სასარგებლო სამეურნეო იარაღი.

(შემდეგი იქნება)

— დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს წინადადება მისცეს სხვადასხვა დაწესებულებებისაგან დათხოვნილ ლიკვიდაციის გამო მოსამსახურეთ საჩქაროდ გავიდენ საქართველოს საზღვრებიდან, და თუ ისინი ნება ყოფლობით არ შეასრულებენ, უფლება მისცეს ხსენებულ მინისტრს მათი საქართველოდან ადმინისტრატიულ ზომებით დაუყონებლივ გაძევებისა.

— ნება დაერთოს სათანადო დაწესებულებას გაჰყიდოს ყოფილი თავადაზნაურობისა, განოვის ქუჩაზე არსებული მამული იმ პირობით, რომ მყიდველ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ქვეშევრდომათაგანი უნდა იყოს.

## ვაჭრობა მრეწველობა.

**ვაჭრობა მრეწველობის** მინისტრის ამხანაგი გ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით შემდგარმა თათბირმა დაადგინა ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ტყიბულის ქვა ნახშირის მუშებისათვის გადასდოს ორი კვირის სამყოფი სურსათი, აგრეთვე ავანსათ გადასდოს ერთი მილიონი მანეთი მუშების დასაკმაყოფილებლად. შემონახულ იქმნას ნავთი აგვისტო-სექტემბრის და 10 დღე ოქტომბრის სამყოფი. საქართველოს ტერიტორიაზე ნავთის დამუშავების შესახებ დადგენილ იქნა მიენდოს სამთო სამმართველოს, დაუყოვნებლივ შედგენილ იქნას ხარჯთ აღრიცხვა იმის გამოსაკვლევათ, თუ სად შეიძლება ნავთის აღმოჩენა, მთავრობამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს კერძო პირთ, რომლებიც შეეცდებიან ნავთის აღმოჩენას.

## ღვინით ვაჭრობა.

**საგანგებო თათბირი.**

პარასკევს, 2 აგვისტოს ფინანსთა სამინისტრომ პირველად წაიკითხა კანონპროექტი ღვინოსა და არაყზე გადასახადების დაწესების და ღვინითა და არაყით საქართველოში ვაჭრობის შესახებ. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს დაწესებულებათა საზოგადოებრივ ჯგუფების და მეღვინეთა კავშირის საქართველოს სამეურნეო საზოგადოების, საქართველოს ზვრების, ქალაქის გამგეობის და ღვინით მოვაჭრე დიდ ფირმების წარმომადგენლებმა. თავმჯდომარეობდა გ. დ. ჟურული. კანონპროექტი შემდგარია ძველ ფრანგულ სისტემით. გადასახადი დაწესებული იქნება ბოთლებში ჩასხმულ ღვინოზე. სოფლიდან სოფელში ღვინის გადაზიდვა თავისუფლად უნდა სწარმოებდეს. ვენახის პატრონები განთავისუფლებულნი არიან ყოველგვარ გადასახადებისგან. ღვინით ვაჭრობა განზრახულია სრულიად თავისუფალი იყოს და ღვინოზე სხვა გადასახადები მოისპობა. საქართველოში შემოზიდულ ღვინოზე დაწესებული იქნება „დასაფარავი" გადასახადი, უცხოეთში გაზიდულ ღვინოზე აქციზი დარჩება. კანონპროექტის საწინააღმდეგო არავის არაფერი ჰქონია. კანონ-პროექტის შესამუშავებლად არჩეულ იქმნა ცალკე კომისია, რომელშიაც შედიან ზემოხსენებულ თაწესებულებათა წარმომადგენლები და კანონპროექტის ავტორი ე. ე. კაკლოვსკი. ღვინის აქციზის შემოსავალი წინასწარ გამოანგარიშებით 30 მილიონ მან. უნდა აღემატებოდეს.

## ბონეზის ექსპედიციის გაძარცვის განზრახვა

30 ივლისს ღამის 1 საათზე შტაბის სტამბასთან მყოფ ბონეზის დამზადებელ ექსპედიციის საყარაულოზე შეიარაღებულმა უცნობებმა თავდასხმის მოხდენა განიზრახეს. დაუყოვნებლივ ეს ამბავი სიგნალით მეციხოვნე ჯარის უფროსის სამმართველოს შეატყობინეს. ექსპედიციაში მაშინვე მივიდა მორიგე უფროსი ადიუტანტი ნიკოლაძე ჯარის კაცებით, ქალაქის მილიციის და სისხლის სამართლის მილიციის უფროსები მილიციელებით.

ხუთშაბათს, 8 აგვისტოს,

ცნობილი ემიგრანტი და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საზღვარ გარედ მებრძოლ კომიტეტის თავმჯდომარე

# პეტრე სურგულაძე

წაიკითხავს ლექციას

„დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა."

ლექციის შემდეგ გაიმართება **კ ა მ ა თ ი.**

ბილეთები ამ თავითვე იყიდება ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში" ისიდორე კვიცარიძესთან. დაწვრილებით აფიშებში. 3—1

ახლო მახლო აუგიდლებს ალყა შემოარტყეს და სასტიკათ გასჩხრიკეს; დააპატიმრეს რამდენიმე საეჭვო პირი. სწარმოებს სასტიკი გამოძიება.

## ბრძოლა ლეჩხუმში.

**ხრესილი.** (დეპეში) 4 აგვისტოს მთელი დღის განმავლობაში მთელ ფრონტზე განუწყვეტელი სროლა იყო. ჩვენ ფრონტებზე მოწინააღმდეგეებს იერიშები მოაქვთ. ბრძოლა გრძელდება

(იაკოვი).

**ლეჩხუმის** რაიონი. პირდაპირი მავთულით. გუშინ მთელი დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა. სწარმოებდა მოწინააღმდეგემ, როგორც ირკვევა მიიღო რამაშველი ძალები სოფ. ღონორისიდან და ვაშნარის მთიდან ჩვენს მარჯვენა ფლანგზე იერიში მოიტან. ჩვენი ჯარი მტერს თოფისა და ტყვიის მფრქვეველების საშინელი ცეცხლით შეხვდა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ჩვენის მხრით მოკლეს 1. დასჭრეს 3, უგზო უკვლოდ დაიკარგა 5-კაცი. ჩვენმა არტილერიამ მტრის ბანაკს ცეცხლი გაუჩინა და მათი წინსვლა შეაჩერა. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდირა.

**გენ. სუმბათაშვილი**

## ხრესილი.

(დეპეში) გუშინდელი დღის ბრძოლაში მოგვიკლეს 1. დაგვიჭრეს 2. და უგზო უკვლოთ დაიკარგა 5 ს. ჩორთისა ჩვენს ხელშია. მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტელი წვიმა იყო.

**ჯარის გაგზავნა.**

ქუთაისში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის ჯარის ნაწილი, რომელიც ლეჩხუმის ფრონტისაკენ გაიგზავნა.

# უცხოეთი.

## გენერალ ეიხგორნის მკვლელობა.

უკრაინაში გერმანიის საოკუპაციო მხედრობის ფელდ მარშალი ეიხგორნი პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა. როდესაც 30 ივლისს, დილის 2 საათზე ფელდმარშალი ეიხგორნი თავისი პირადი ადიუტანტ ფონ დრესლერმით თავის ბინაზე ბრუნდებოდა, მას ესროლეს ყუმბარა. ფელდ-მარშალიც და კაპიტანი ფონ-დრესსლერიც მძიმედ დაიჭრნენ. ორივე იმავე დღეს გადაიცვალა. ყუმბარის გამსროლი და მეეტლეც დააპატიმრეს. ამ მკვლელობას სწამებენ სოც. რევოლუციონერებს. ჯერ ჯერობით შეკრებული ცნობების თანახმად მკვლელმა ბორის დონსკოიმ, 22 წლისამ, განაცხადა რომ ირიცხება მოსკოვის სოც. რევოლუციონური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ფელდ მარშალი ეიხგორნი მოეკლა, კომიტეტისაგან მას მიცემული ჰქონია ყუმბარები ფული და რეოლვერი.

## ბაქოს მდგომარეობა.

1 აგვისტოს თბილისის რადიო სადგურმა ორი დეპეშა დაიჭირა ბაქო რადიო სადგურის მიერ გადაცემული:

**ბა'ო.** 30 ივლისი. ბაქოს მდგომარეობა კრიტიკულია. ბრძოლა სწარმოებს ბაქოდან 20 ვერსის მოშორებით. საქმის მშვიდობიანათ მოსაგვარებლათ იმედი აღარ არის. კასპიის ზღვის ფლოტილიამ გადასწყვიტა ძალა უფლება თითონ აიღოს ხელში ბიჩერახოვთან მოლაპარაკება გავმართეთ. ეტყობა საქმეს მოვაგვარებთ. ინგლისელების მოსვლას ბაქოში აღფრთოვანებით შეხვდებიან მცხოვრებნი. ფლოტილია ალბათ ხელს შეუშლის ინგლისელების მოსვლას. ახლავე შეეკითხოს ინგლისის შტაბი ფლოტილიის ცენტრალურ კომიტეტს და აღნიშნოს, რომ თუ ისინი არ დაეთანხმებიან ბაქოში ინგლისელთა ჯარების შემოშვებაზე, ჯარებს მაინც გადმოსხამენ ალიათში ან სალიანში ფლოტილიის ტერიტორიაზე.

**ბაქო.** 31 ივლისი. 15 ს. 50 წ. ყველა ჯარის ნაწილების კომისრებს და უფროსებს. ბაქოს მდგომარეობა კრიტიკულია. თავის გადასარჩენად ძალა უფლება კასპიის ფლოტილიის სცენტრალურმა კომიტეტმა აიღო ხელში. გამოცხადდა დროებით დიქტატურა ოთხი პირისაგან შემდგარი გამოგზავნეთ ნაწილები. დაეხმარეთ ბაქოს გარნიზონს. ბიჩერახოვი დაინიშნა მთელი კავკასიის და ამიერ-კავკასიის ხმელეთის და საზღვაო ჯარების მთავარსარდლათ.

— თბილისში გუმბეტთა ფრაქცია გაზ. ბორბას ატყობინებს, რომ-ბაქო ოსმალეთ ს ჯარმა უკვე აიღო.

**უკანასკნელი ცნობები.**

განჯიდან მიღებული ცნობების თანახმად ბაქო დიდი ბრძოლის შემდეგ 1 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ოსმალთა ჯარმა აიღო. ნავთის სამრეწველოები და ქარხნები ხელუხლებელია.

ოფიციალური ცნობების თანახმად ბაქოს აღების დროს ოსმალებს ხელთ ჩაუვარდათ 5,000 ტყვე. მოკლულია 7,000 კაცი.

ბაქოს აღების ამბავს რკინის გზის კომიტეტიც ამოწმებს. განჯაში ოსმალეთიდან მოვიდენ რკინის გზის ინსტრუქტორები, რომელნიც გაიგზავნენ აჯიკაბულიდან ბაქომდის რკინის გზის აღსადგენად.

ადერბეიჯანის რკინის გზის მთავრობის განცხადებით მიმოსვლის აღდგენა ორ კვირემდის ადრე არ მოხერხდებოდა, რადგანაც ბოლშევიკებმა უკან დახევის დროს ყველაფერი გააფუჭეს.

აჯიკაბულში გაფუჭებულია აგრეთვე ნავთის გასაყვანი მილები. მცოდნე პირების გადმოცემით მარტო ამ მილების აღდგენას ორ თვეს მოუნდებიან.

## უცხოეთი.

**კერენსკი ინგლისში.**

კერენსკი ამ ჟამად ინგლისში იმყოფება. მან სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობაზე, რომელსაც ტაშისცემით შეხვდნენ. განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეს სიტყვის ის ადგილები, სადაც იგი ამბობდა, რომ რუსეთის დემოკრატია ვერასოდეს ვერ შეუთანხმდება ბრესტ ლიტოვსკის ზავის პირობებს და ბოლშევიკების ბატონობას, რომელნიც რუსეთში გერმანელების მონებს წარმოადგენენ.

**ჟორესის შვილი.**

ჟორესის შვილი, რომელიც ფრონტზე იმყოფებოდა უგზო უკვლოდ დაიკარგა.

**საზავო მოლაპარაკება შვეიცარიაში.**

„ბაზლერ ნაციონალ ცაიტუნგი" იტყობინება, რომ ზომებია მიღებული საერთაშორისო ზავის ჩამოგდების შესახებ. საზაო მოლაპარაკება უნდა მოხდეს შვეიცარიაში.

**რომის პაპა და ზავი.**

ხმები დადის რომ რომის პაპა თავზე იდებს შუამდგომლობას რათა საზავო მოლაპარაკება დაიწყოს.

## ავსტრო-გერმანეთის დელეგაცია სომხეთში.

სომეხთა დიპლომატიურ მისიასთან, არსებულ საინფორმაციო ბიუროს საქართველოში ატყობინებენ რო გერმანიისა და ავსტრიის მისიათა წარმომადგენელნი გენ. ფონ-კრესსი და ბარონ ფარან-კელშტეინი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის ა. ჯამალიანთან ერთად ჩასულან 30 ივლისის საღამოს $10^1/_2$-ს. სომეხთა საზღვრებში. ერევნის სადგურზე მათ შეხვდენ ქალაქის თავი გარნიზონის უფროსი კომენდანტი და საპატიო დარაჯთა რაზმი. ვახშმად ერევნის ქალაქის თავთან იყვნენ მიწვეულნი. მეორე დღეს სტუმრებმა დარბაზობა გადუხადეს სომეხთა მთავრობის წევრებს. მინისტრთა თავმჯდომარე ო. ყაჩაზნუნიმ გააცნო საქმის მდგომარეობას. ერევნიდან გაემგზავრენ ეჩმიაძინში და ინახულეს სომეხთა კათალიკოსი. იმავე დღეს დაბრუნდნენ ერევანში სადაც მათ გაუმართეს ბანკეტი. იმავე ღამით საპატიო სტუმრები თბილისში გამოემგზავრენ.

## ყირიმი.

ყირიმის მთავრობამ გამოსცა დეკლარაცია. რომელშიაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ ყირიმი იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს დეკლარაცია მოკლე ხანში გახდება საერთაშორისო კონფერენციის საგნათ. ამ კონფერენციაზეა დამოკიდებული ყირიმის დამოუკიდებლობის საკითხი.

მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნების გამო ბევრი საქალაქო და საერობო დაწესებულებებმა, პროტესტის ნიშნათ უარი სთქვეს თანამდებობაზე. როგორც სჩანს, ადგილობრივი ორგანიზაციები წინააღმდეგი არიან ყირიმის დამოუკიდებლობის სხვათა შორის ყირიმის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რაიმე სერიოზულ ადმინისტრატიულ აპარატის შექმნა მათ სახეში არა აქვთ. არა აქვთ მათ სახეში აგრეთვე მუდმივი ჯარის და ფლოტის ორგანიზაცია.

უკანასკნელ ცნობებით დამოკიდებულება ყირიმისა და უკრაინის შორის გამწვავდა, თუმცა ყირიმის მთავრობა უარყოფს ამას. მთავრობა ქალაქების არჩევნების ახალ კანონის გამომუშავებას ანდობს საქალაქო და საერობო მოღვაწეთა ყრილობას.

ყირიმის მთავრობა შესაძლოთ სცნობს სოციალისტურ ორგანიზაციების არსებობას.

# ახალი ამბავი

## ქ უ თ ა ი ს ი.

**სამშვიდობო მოლაპარაკება ყუბანთან.** გენერალი მაზნიაშვილი იტყობინება, რომ ტუაპსეში მოვიდა ყუბანელთა შავიზღვის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია რომელსაც სურს საქართველოსთან მოლაპარაკება აწარმოოს.

**ხოლერა ფოთში.** ფოთში ხოლერა ფართო ხასიათს ღებულობს. ამის გამო ფოთის ქალაქის თვითმართველობა ხოლერასთან საბრძოლველათ თხოულობს 4 მილიონ მანეთს.

**სომხის მთავრობა.** ერევნიდან მიღებული ცნობების თანახმათ სომხის პარლამენტი 2 აგვისტოს გაიხსნა, რასაც დაესწრო გერმანეთისა და ავსტრო უნგრეთის მისიების წარმომადგენლები.

**რკინის გზის მოსამსახურეთა საყურადღებოდ.** დღეს, 6 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე მწ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია რკინის გზის მოსამსახურეთა კრება. გადასაწყვეტია გადაუდებელი საკითხები.

**საყურადღებო ლექცია.** ცნობილი ემიგრანტი და პოლიტიკური მოღვაწე, თავმჯდომარე საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვარგარედ მებრძოლთა კომიტეტისა პეტრე სურგულაძე ხუთშაბათს, 8 აგვისტოს ქუთაისში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა“ ლექციას შემდეგ გაიმართება კამათი.

**გერმანელები ქუთაისში.** აგვისტოს 4-ს ქუთაისში ჩამოვიდა გერმანელთა ჯარი, ტყვის მფრქვეველი რაზმით. სულ ჩამოვიდა 900 კაცი, რომელიც მოთავსდენ პირველ და მესამე გიმნაზიის შენობაში.

**ადგილობრივი მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის“ გარშემო.** თავის უკანასკნელ სხდომაზე „კოოპერაციის“ გამგეობამ სარევიზიო კომისიის წარმომადგენლის თანდასწრებით ერთხმად დაადგინა-ნაცვლად იმ გამგეობის წევრებისა, რომლებიც გამგეობის სხდომებს დროზე და რიგზე ვერ ესწრებიან მოიწვიონ გამგეობაში სამუშაოთ საზოგადო კრების მიერ არჩეული გამგეობის წევრთა კანდიდატები. კანდიდატებით შევსებულ სხდომაზე გამგეობამ აირჩია საინიციატივო და სახელმძღვანელო ორგანო, რომელშიაც შედიან: ილია ბახტაძე, პლატონ თალაკვაძე და აკაკი ხვიჩია.

**მეეტლების გადასახადი.** ხონის ქალაქის თავი ქუთაისის ქალაქის გამგეობას ატყობინებს, რომ ქუთაისში ხონის მეეტლებს მილიციონერები აპატიმრებენ და ფულს ახდევინებენ. თხოულობენ რომ შემდეგში მეეტლები არ დააპატიმრონ.

**უსუფთაობა.** ქალაქის სანიტარულმა რაზმა დაათვალიერა თეთრ ხიდთან არსებული აბანო აღმოაჩინა უსუფთაობა, რაზედაც სათანადო ოქმი შეადგინა.

**ქუთაისის სასურსათო** კომიტეტმა მიიღო 1,200 ფუთი სიმინდი რომელიც გადაეცა გუბერნიის კომისარს ჯარების საჭიროებისათვის.

**ხოლერა.** კვირას აგვისტოს 4-ს ქალაქის საავათმყოფოში მოათავსეს ხოლერის ნიშნებით საეჭვო ავათმყოფი.

**გუშინ დააპატიმრეს** ტრიფონ ლეონტის ძე ჯაში, როგორც მავნე და საეჭვო პირი.

**სისხლის სამართლის მილიციის** უფროს ჯინჭარაძის თანაშემწეთ დაინიშნა ძნელაძე.

**გატეხეს ზინგერის ფირმის** საკერავი მანქანების საწყობი. წაიღეს რამდენიმე მანქანა.

მიმწოდებელი **კ მიტეტის** საწყობების დამცველ რაზმის უფროსად დაინიშნა თაყაიშვილი.

**მკვლელობა.** ს. ნოსირი (დეპეშა) 2 აგვისტოს აბაშის რაიონის მთვრალმა მილიციელმა მოჰკლა თომა კილასონია. მთავრობამ არავითარი ზომები არ მიიღო. ხალხი ამ მოქმედებით აღელვებულია.

ამის შესახებ გუბ. კომისარმა შესაფერი განკარგულება მოახდინა.

**ბიქტორ მაჭავარიანი** გვთხოვს გამოვაცხადოთ რომ მას დაეკარგა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა და ოცი მანეთი ფული. მპოვნელს სთხოვს ფული თვითონ დაიტოვოს და მოწმობა „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში წარმოადგინოს.

# ჩვენი წვრილი მრეწველები და ჭიათურის მადნის ნაციონალიზაცია.

18 ივლის (ძველი სტილით) ქალაქ ჭიათურაში ბ. ს. წერეთლის თავმჯდომარეობით და საპატიო სტუმრების: გზათა სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობით მოხდა შავი ქვის მრეწველთა მორიგი კრება. კრება გაიხსნა დილის 11 საათზე კრებას დაწყებიდანვე ეტყობოდა, რომ ჩვენი ახალგაზრდა მრეწველები „რაღაც“ აგიტაცის ეწეოდენ და ამის გამო დიდი ფაცა-ფუცი იყო.

გასაკვირი ის იყო, რომ კრება ძალიან გაიზარდა რაც სტუმრებზე და ადგილობრივ უცხოელებზე დიდ გავლენას ახდენდა კრებაზე წამოყენებული იყო სხვადასხვა საკითხები, მაგრამ მათი გარჩევით კრებამ დიდა დრო არ დაკარგა და ყოველივეს დადასტურებით გადადიოდა ფრიად საინტერესო საკითხზე; „ტარიფის-მომატებაზე.

ტარიფის გადიდება 44 კაპ. გზათა სამინისტროს კომისიაში მიღებული ყოფილა და როგორც კომისია ამტკიცებდა, სადაც შედიოდა გერმანელების წარმომადგენლიც ჩვენი რკინის გზებს უმწეო მდგომარეობის და აუცილებლათ ხლიდა ჩვენდა სასარგებლოდ და საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების უწყებას უსათუოდ მოემატებინა ტარიფი და გაეხადა 44 კაპ. და ასეთი გადიდებული ტარიფის საშუალებით შეძლება ექნებოდა ეარსებებია **რკინის გზის მოძრაობას საქართველოს ტერიტორიაზე.** ტარიფის მომატებამ დიდი შეხლა შემოხლა გამოიწვია მოწინაღმდეგენი ამტკიცებდენ რომ წვრილ მრეწველებს საშუალება არ ექნება იხადოს ესეთი დიდი გადასახადი, ვინაიდან მათ არ იციან, რომ, რა ფასი აქვს მარგანეცს საერთო ბაზარზე და ასეთ შიშის ქვეშ მყოფ მრეწველებს მთავრობა ეკონომიურათ გაანადგურებს, უმიჩნავებს გერმანეთს და მეორეს მხრივ, საშუალებას აძლევს მსხვილ მრეწველებს დიდი დაგროვებული მარგანეცი, რომლის გატანა დიდი ხანია დაწყებულია (გერმანიის ფირმაა) ვითომც და აჯარიმების; იჩენს საქართველოს რესპუბლიკის ერთგულებას და თავიანთი ფირმებს გაკაცხვას, ჩემი ღრმა რწმენით საქმე კი შემდეგში მდგომარეობდა. „საპატიო“ კომისიის განზრახვა ჰქონდა ასეთი დიდი ტარიფის საშუალებით აეხედრებია წვრილი მრეწველები, ტარიფს ძველს დატოვებდენ და შემდეგ რაც შეიძლება ბლომათ გაიტანდნენ მარგანეცს და საერთო ბაზარზე ჩვენი მადნის ფასიც ძალიან დაიწევდა, რაიც გერმანელებისათვის ხელ საყრელი იყო. მაგრამ „გაჭირვებულ ადამიანს ღმერთი იხსნისო“ სწორედ ასე მოხდა ამ კრებაზე. საპატიო კომისიის წევრს (გერმანელებისას) წამოცდა, რომ ხელშეკრულების ძალით გერმანეთი ფუთ მარგანეცში 3 3 მანეთს და 50 კაპეიკს იძლევა. ასეთმა დიდმა ფასმა ჩვენს მრეწველებს სიხარული მოგვარა და „ის“ გადიდებული ტარიფი ფირცხლავ მიიღეს ტარიფის გადიდებამ და ფასის გამოაშკარავებამ გერმანელებს ფირმის მრეწველები უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

ჩვენმა მრეწველებმა კატეგორიულათ მოითხოვეს, რომ ვინემ პრინციპიალურათ არ იქნება გადაწყვეტილი და ამასთინავე მოგვარებული მარგანეცის გაზიდვის საქმე არცერთ ფირმას ნებას არ მისცემენ რომ თავისი მარგანეცი გაიტანოს. მაგრამ, ასეთი მოთხოვნილების სისრულეში მოყვანა შეუძლებლად სცნო. ხსენებულ კრებას ეტყობოდა, რომ ჩვენ ეკონომიურათ დამონება მოახლოვებულია რაც დაამტკიცა საღამოთი კრების გაგრძელებამ ნაციონალიზაციას აღტაცებით მიესალმა კრება და გამოთქვა სურვილი რომ ცხოვრებაში საჩქაროდ გატარდეს. მაგრამ „ნაციონალიზაციის“ ძირითადი შინაარსი რომ განიხილეს ერთი ნაწილი კრებისა გამრეკლიძის მეთაურობით წინააღმდეგ წავიდა და ამტკიცებდა რომ, ჩვენი მთავრობა ბრმათ ემორჩილება გერმანელების მოთხოვნილებებს და ერთ მხარეს (გერმანელებს) რომ სიამოვნება მოგვარეს მეორეს კი მტრათ გვიხდის გარეშე სახელმწიფოების მრეწველებს გვანდურებს და საშუამო ეკონომიურ ბრძოლაში ვარდებით.

შემდეგ ბევრმა ორატორმა ზემოხსენებული აზრი გამოსთქვეს და უფრო გასამუქებლათ კრებამ მოისურვა მოიწვიოს ახლო მომავალში მრეწველთა საერთო კრება და ამ კრების მიერ იქნეს დადასტურებული ნაციონალიზაციის საკითხი, ამა თუ იმ სახით. სურათი პირდაპირ საშინელი იყო როდესაც გერმანელების მრეწველები თავისუფლათ გრძნობდენ თავს და ფრანგების, ინგლისელების, ბელგიელების, რუსების და ბერძნების, მრეწველები კი მუნჯებივით ისხდნენ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეკონომიურ ნიადაგზე ძალიან ბევრ მტერს ვიჩენთ მომავალში, თუ კი ნაციონალიზაციის შედეგები არ დარჩა იგივე გარეშე სახელმწიფოების მრეწველების ხელში; იყო თქმულება, რომ ნაციონალიზაციის შემდეგ შესდგება ერთი დიდი კომპანია, რომლის აქციები გაიყოფა შუაში ორ მოკავშირე სახელმწიფოს საქართველოს და გერმანეთს შორის. ეს ასე რომ მოხდეს, მუდამ ეკონომიურ ომის სფეროში ვიქნებით და მეორე, ჩვენი ფაქტიური ხელმძღვანელი და შუამავალი სხვა სახელმწიფოთა შორის იქნება გერმანია. ჩვენ როგორც ნორჩი, ტეხნიკას და ფინანსიურ ძალებს მოკლებული ვიქნებით მათი მონა და ადვილი შესაძლებელია გერმანეთის ბედნიერებით იქნეს აშენებული მომავალში ჩვენი უბედურება.

ნაციონალიზაცია უეჭველია უნდა მოხდეს, მაგრამ შეიძლება ცხოვრებაში ისე გავატაროთ რომ არც მწვადი დასწვათ და არც შამფური ე. ი. გაეროვნება მოვახდინოთ, გამოყიდვით, ნაღდ ფულზე როგორც მადნეულების ისე ზედ აღმოცენებულ სალაროების და შენობების და შემდეგ მთავრობამ გასცეს კონცესიები არა უმეტეს 10 წლისა. რასაკვირველია, ნორჩ სახელმწიფომ კონცესიის საშუალებას არ უნდა მიჰყოს ხელი, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვწევს იმდენი ძალა რომ ვიყოლიოთ ამ თავიდანვე საკმარისი განათლებული და დახელოვნებული ძალები, რომელშიაც თავიანთი ცოდნით მიწის უფსკრულში დამალული მადანი თუმცაღა, ათ წლიანი კონსეცია არც ერთ ევროპის ქვეყნებში არაა შემოღებული, მაგრამ ამას გვაიძულებს ჩვენი საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა გამოიტანოს ევროპის ბაზარზე. აი სწორედ ჩვენმა მთავრობამ უნდა მოახდინოს ნაციონალიზაცია, გამოიყიდოს მადნები და შემდეგ გასცეს კონცესიები, დაუყენოს კონცესიენერებს. (თუ კი ეს ხელშეკრულებაში იქნება შეტანილი) კარგი და მაღალი ინჟინერები, რომ როგორც გამქცევი და მედროვე სტუმრები, არ გააფუჭონ თავიანთი უდიერი ექსპლოატაციით მადნეულობა და ამ რიგად შეიქნეს ფინანსიურ კონტროლიორთა საქართველოს მთავრობა. ცხადზე უცხადესია რომ გერმანია ეცდება მონოპოლია მოიპოვოს მსოფლიო ბაზარზე ჩვენა ქონებით და ამის მიხედვით ჩვენ ყველა სახელმწიფოები მოგვანდურონ. დარწმუნებული უნდა იქნეს პატივცემული მკითხველი, რომ გერმანია როდესაც თავის პრეტენზიებს დააკმაყოფილებს და ყველას მტრათ გადაგვკიდებს, არავითარ ტეხნიკურ განვითარებას არ შემოიტანს, ჩვენში ვინაიდან მან კარგათ იცის, რომ ის სახელმწიფოა მოგებული სადაც ნედლი საქონელი მუშავდება. ამნაირათ გერმანიას უჭდება ცენტრი ჩვენი აუარებელ სიმდიდრისა გადაიტანოს ტეხნიკურათ კარგათ მოწყობილ თავის ქვეყანაში და ამრიგად შეიქმნეს მკარნახებელი და განმანაწილებელი ჩვენი სიმდიდრისა. ეს თუ ასე მოხდა, მაშინ ჩვენისთანა უბედური ერთ მთელ დედამიწის ზურგზე ერთიც არ იქნება. მართლაც, „ჩავარდი საგონებელში ვითა გამეჩი მოჰყავთ ... ჩვენზე ... ... ქუთაისის სავლიდიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორესპონდენცია

**ქ. ზესთაფონი.** შორაპნის სამაზრო სასურსათო კომისიამ ქალაქ ზესთაფონის თვითმართველობას გადასცა ერთი ვაგონი ამას წინეთ მისგან შეძენილი ფართალი, რომელიც ამ თვეში განაწილდება და მცხოვრებთ დაურიგდება. ეს ფართალი საბჭოს დადგენილებით უნდა გადაცვლილიყო პურზე, რომელიც დიდს საჭიროებას შეადგენს მკვიდრთათვის, ქალაქის თვითმართველობამ შეიძინა და ქუთაისიდან მოიტანა ერთი ვაგონი ნატეხი და ფხვნილი შაქარი, ქალაქის საბჭოს საზრუნავია გასუფთავება ქალაქისა, რომელიც დიდს ანტისანიტარულს მდგომარეობაშია. სანიტარულმა კომისიამ რამდენჯერმე შემოიარა ბაზარი და მოვაჭრენი გააფრთხილა, რომ სისუფთავე დაეცვათ. 30 ივლისს კი ამავე კომისიამ ქალაქის ექიმ და მსაჯულთან ერთად დაიარა ბაზარი და სადაც უსუფთაობა ნახა ყველას ოქმი შეუქმნა და დააჯარიმა.

სოც. ცალკეს შეადგინა ერობის კანდიდატებისა. ზესტაფონში საერობო არჩევნებში სოციალისტური პარტიება ეროვნულ დემოკრატების წინააღმდეგ ერთი ბლოკით გამოდიან.

— 25 ივლისს ზესთაფონის წმ. ნინოს სასაფლაოზე დაკრძალეს სარხერის ფრონტზე ბოლშევიკებთან ომში გმირულად მოკლული მებრძოლი ი. პ. შოთაძე; ანდერძის აგების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა პირებმა.

— ამ თვეში აქ მიმწოდებელი კომიტეტი საავადმყოფოს; საჭირო ინვენტარი უკვე შეძენილი და მოტანილია. ქსენონის გამგედ დანიშნულია ექიმი ზ. გ. წერეთელი. ამ ცოტა ხანში გაიხსნება საქალაქო წამალხანაც ქალაქისათვის ეს ორი დაწესებულება დიდს საგანძურს წარმოადგენს ქსენონი იქნება ქალაქის თვითმართველობის კონტროლს ქვეშ და შემდეგ გადავა ერობის, ან ქალაქის საკუთრებად.

**კ გძელი.**

**დ. ანაკლია.** 31 ივლისს სრულიად მოულოდნელად დ. ანაკლიას თავს დაესხნენ ბოლშევიკები.

ასეთმა საშიშხარო მოვლენამ მცხოვრებნი შიშის ზარს მისცა, რომელნიც კივილ ჩხივილით გარბიან ყოველ მხრისაკენ.

ბოლშევიკების ძალა საკმაო აღმოჩნდა რომელთა რიცხვი ჯერ გამოურკვეველია. ამბობენ, რომ მით მალე მოუათ მაშველი ჯარებიო, რადგანაც მათს ასეთ გამოსვლას მისცეს ფრიად სერიოზული ხასიათიო.

ბოლშევიკები ეძებენ კომისარს და აქაურ ადმინისტრაციას. დაატყვევეს მრავალი მათთვის საეჭვო პირები.

**ვ. სოფლელი.**

რედაქტორი – სარედაქციო კოლეგია.

**განცხადება.** – გიმნაზიის კურს დამთავრებული გერმანელი გამოცდილი მასწავლებელი ქალი აძლევს გერმანული ენის გაკვეთილებს. თანახმაა გაკვეთილები მისცეს თუ მას მისცემენ ოთახს საჩილით. მსურველებმა მისამართი უნდა დასტოვონ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში, ეკატერინე რევაზის სახელზე. 3 – 2

**საჭიროა „ნატურშჩიცა“** მოდელისთვის. პირობები და სურათი გაგზავნილ უნდა იქნეს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში მხატვარ სანელისთვის. 5—2

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.